ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ე ს ყ ი დ ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

№ 3 1

2 9 მ ა ი ს ი 2 0 1 9 წ .

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების,კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი ს/კ 441486134 (შემდგომში წოდებული "დამკვეთი'), მისი დირექტორი ფიქრია გრიგოლაძის სახით და მეორეს მხრივ, ა/ო „გადასახადის გადამხდელთა კავშირი") ს/კ 203842510 (შემდგომში წოდებული "შემსრულებელი), მისი აღმასრულებელი დირექტორის გიგლა მიქაუტაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა/ო "გადასახადის გადამხდელთა კავშირი "მიერ შეხვედრის ჩატარება თემაზე: სხელმწიფო შესყიდვების მართვა, რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი კონტროლის მექნიზმები, 2019 წლის 7-9 ივნისს, კახეთში, სასტუმრო „სავანეთში"

1.2 დანაყოფის კოდი: CPV-80511000- რომლის ღირებულება შესადგენს 1200 ლარს.

2. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

2.1 ა/ო "გადასახადის გადამხდელთა კავშირი "("შემსრულებელი') იღებს ვალდებულებას ჩაატაროს სამუშაო შეხვედრა, სემინარი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების,კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის ერთი თანამშრომლისთვის ("დამკვეთი")

2.2 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების,კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი ("დამკვეთი") იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ა/ო „გადასახადის გადამხდელთა კავშირი" (შემსრულებელი") შეთანხმებული საზღაური.

2.3 შეხვედრაში მონაწილეობის საზღაური გადახდილი იქნება არაუგვიანეს 1 ივნისისა 1200 ლარის ოდენობით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200.00 (ათას ორასს ლარი და 00 თეთრი) ლარს .

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2. მხარეები მოვალენი არიან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 1 (ერთი) კვირის ვადაში აცნობონ მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი და მათი შესრულების მოსალოდნელი თარიღი.

4.3. ყველა შესაძლო დანართი, ორივე მხარის მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი, ძალაშია მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.4. მხარეები მიმართავენ მთელ ძალისხმევას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

5. ხელშეკრულების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019წლის 10 ივლისამდე.

5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წინასწარ 2 კვირის ვადაში წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

5.3. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არა ერთგზის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტის საფუძველი. ამ დროს ხელშეკრულების გაუქმების ინიციატორი მეორე მხარე უნაზღაურებს ამ მომენტისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას ან აღნიშნულით გამოწვეულ ზიანს.

6. ფორს – მაჟორი

6.1. კანონმდებლობით დადგენილი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა და მოქმედების შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან ამ გარემოებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების მოშლას.

7. დამატებითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ეყრდნობა მხარეებს შორის მიღწეულ სრულ ურთიერთგაგებას.

7.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წამოჭრილი საკითხი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი სახელით და სახელშეკრულებო მუხლების არსრულებაზე წარმომადგენლობის რაიმე უფლება მესამე პირებს არ ეკისრებათ.

7.4 არსებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და რჩება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

გადასახადის გადამხდელთა კავშირი
ს/კ 203842510
მის: ლუბლიანას 13 ბ
ტელ: +995591446244
მიმღები ანგარიში:
ს.ს. „თიბისი ბანკი“
a/nGGE61TB7730636080100005BAGAGE
ბანკის კოდი: TBCBGE22

აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერა /გ. მიქაუტაძე/

ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
განათლების ,კულტურისა და სპორტის
განვითარების ცენტრი:
ს/კ 441486134

მის: ყაზბეგის რაიონი დ.სტეფანწმინდა
№24
ტელ: 595268525

ხელმოწერა N-I N-C LP CENTER OF DEVELOPMENT OF EDUCATION, CULTURE AND SPORTS OF KAZBEGI MUNICIPALITY Digitally signed by N-I N-C LP CENTER OF DEVELOPMENT OF EDUCATION, CULTURE AND SPORTS OF KAZBEGI MUNICIPALITY DN: cn=N-I N-C LP CENTER OF DEVELOPMENT OF EDUCATION, CULTURE AND SPORTS OF KAZBEGI MUNICIPALITY, 2.5.4.97=NTRGE-441486134, o=.....,c=GE Date: 2019.05.29 13:13:14 +04'00' /ფ.გრიგოლაძე/